**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**

**უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის**

# **გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36**

6 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებიდან დოკუმენტაციის მიღების თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენ:

**მუხლი 1**. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საერთო სამსახურს დაევალოს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება აწარმოოს 22.00 საათამდე.

**მუხლი 2**. დაევალოს უსკოს ეკონომიკურ სამსახურს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად მოახდინოს აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ა.რ. უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 4**. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა